

ლექცია 1.

კურსის აღწერა, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების არსი

ეს კურსი იმ მკითხველისათვისაა, რომელსაც სურს პრაქტიკულად გააზრება, თუ როგორაა შესაძლებელი საგნობრივი შინაარსისა და მეორე ენის კომბინირება ერთ საგანმანათლებლო გამოცდილებად.

კურსი არის მათთვის, ვისაც სურს, უკეთ გაიგოს ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პრაქტიკა; ისინი, შესაძლოა, მუშაობდნენ დაწყებითი სკოლის მცირეწლოვან ბავშვებთან, საშუალო სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის უფრო მოზრდილ მოსწავლეებთან... მკითხველი, ასევე, შესაძლოა იყოს მშობელი, ადმინისტრატორი ან მკვლევარი, რომელსაც განათლების საკითხები აინტერესებს. ჩვენ ვცხოვრობთ ინოვაციის, ცხოვრებისა და მუშაობის ახალი გზების ეპოქაში. ეს ხშირად გულისხმობს მიდგომების შეცვლას. ჩვენ საზოგადოებებში შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ ანაცვლებს ინტეგრაცია ფრაგმენტაციას. ეს პროცესი აერთიანებს სექტორებს, რომლებიც წარსულში ზოგჯერ საკმაოდ იყვნენ გამიჯნულები ერთმანეთისაგან. CLIL ამ პროცესის ერთ-ერთი მაგალითია. ის ხელს უწყობს საგნისა და ენის სწავლის კონვერგენციას. ის საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, მოერიდონ ფრაგმენტაციას, რომელიც გამოწვეულია საგნების ურთიერთდამოუკიდებელ სფეროებად მიჩნევით. დიდი ხანია ვიცით, რომ ენებისა და სხვა საგნების ერთმანეთისაგან განცალკევებულად, იზოლირებულად სწავლებას არ მოაქვს ოპტიმალური შედეგები. ენისა და საგნის მასწავლებლებმა უკვე გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ ახალ ეპოქაში სწავლების გამოსაცოცხლებლად, როგორც საგნის შიგნით, ისე საგანთა შორისაც კი. CLIL გაძლევთ შანსს, გადადგათ კიდევ ერთი ნაბიჯი წინ. ის აერთიანებს საგნობრივ შინაარსსა და ენას და ახალისებს დამოუკიდებელ და კოოპერაციულ სწავლას, რის პარალელურადაც იგი აგებს

საერთო მიზანსა და ამოცანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში განვითარებისათვის. ეს ქმნის მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას ენის სწავლისათვის.

ტერმინი CLIL (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) შეიქმნა ევროპაში 1994 წელს. CLIL-ის ტიპის პირველი პროგრამა კი 5000 წლის წინ არსებობდა დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. აქადელებს, რომლებმაც შუმერები დაიპყრეს, სურდათ ადგილობრივი ენის შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად შუმერული ენა გამოიყენებოდა აქადელებისათვის სხვადასხვა საგნის შესასწავლ მედიუმად (საშუალებად), მათ შორის თეოლოგიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიისა. თუ შუმერი

ინსტრუქტორები იცავდნენ CLIL-ის საბაზისო პრინციპებს, მაშინ ისინი ხელს უწყობდნენ როგორც შემერული ენის, ისე თეოლოგიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიის შინაარსის სწავლებას.

კიდევ ერთი ისტორიული მაგალითი, როდესაც მეორე ენა საგნობრივი შინაარსის სასწავლებლად გამოიყენება, ლათინურის ფართოდ გამოყენებაა. საუკუნეების განმავლობაში ლათინური იყო სწავლების ენა ევროპულ უნივერსიტეტებში და გახდა სამართლის, მედიცინის, თეოლოგიის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ძირითადი ენა. თუმცა, CLIL-თან ძლიერი მსგავსების მიუხედავად, ლათინური ენის გამოყენება მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ზუსტი გაგებით CLIL-ის მაგალითად. აკადემიებში ლათინურის გამოყენება თითქმის არანაირ სივრცეს არ ტოვებდა ადგილობრივი ენების გასავითარებლად. ამის საპირისპიროდ, CLIL ეხმარება მეორე ენის შესწავლას და, ამავდროულად, ხელს უწყობს პირველი ენის განვითარებასაც.

ბოლო საუკუნეებში ევროპაში მრავალი ადამიანი მიხვდა მულტილინგვურობის ფასს. თუმცა, ბი- და მულტილინგვური განათლება, უპირველეს ყოვლისა, მდიდარი ხალხის პრივილეგია იყო. შეძლებულები ქირაობდნენ გუვერნანტებსა და ტუტორებს, რომლებიც მათ შვილებს უცხო ენებზე ესაუბრებოდნენ სწორედ იმ მიზნით, რომ მათ ესწავლათ სხვა ენაზე თავისუფლად საუბარი. ზოგიერთი მათგანი კი შვილებს უცხოეთის კერძო სკოლებში აგზავნიდა სასწავლებლად.

სხვა შემთხვევებში გეოგრაფიულმა, დემოგრაფიულმა და ეკონომიკურმა რეალობებმა შექმნა მულტილინგვური პროგრამები. 1965 წელს კანადის ფრანგულენოვან რეგიონში, კვებეკში, მცხოვრები ინგლისურენოვანი მშობლები ღელავდნენ, რომ მათ შვილებს არახელსაყრელ პირობებში მოუწევდათ ცხოვრება, თუკი ფრანგულ ენას გამართულად ვერ დაეუფლებოდნენ. ამ ინგლისურენოვან მშობლებს სჯეროდათ, რომ მეორე ენის სტანდარტული სწავლება არ იყო საკმარისი ფრანგული ენის სრულყოფილად დასაუფლებლად, რაც მოგვიანებით ხელს შეუშლიდა მათ შვილებს ადგილობრივ სამუშაო ბაზარზე კონკურენციის გაწევაში. ამ მშობლებმა მოუწოდეს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ მათ ჩამოეყალიბებინათ ენაში „ჩაძირვის“ (სხვაგვარად - „ჩაყურყუმალავების“) პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ინგლისურენოვან ბავშვებს, ყველა საგანი მხოლოდ ფრანგულად ესწავლათ.

„ჩაძირვის“ პროგრამის მასწავლებლებს თავდაპირველად დიდი პრობლემების გადალახვა მოუხდათ. სწავლებისა და სწავლის სათანადო მეთოდები ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. ისინი ცდების ჩატარებისა და შეცდომების ანალიზის საშუალებით შემუშავდა. მასწავლებლებმა დაიწყეს სტუდენტებისთვის მეორე ენის გაგებისა და ვერბალური კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებაში დახმარებაზე ფოკუსირებით. უფრო დაბალანსებული მიდგომის გამოყენება, რომელშიც გათვალისწინებული იყო ოთხივე ენობრივი უნარი (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა), დაიწყეს მას მერე, რაც მოსწავლეებს აუდიალური (სმენითი) და ვერბალური (სალაპარაკო) უნარები ძირითადი კომუნიკაციისათვის საკმარისად ჩამოუყალიბდათ. სკოლაში წინსვლასთან ერთად, ზოგ საგანს ინგლისურადაც ასწავლიდნენ. საერთო ჯამში, ეს პროგრამა ძალიან

წარმატებული იყო. „ჩაძირვის“ მეთოდით სწავლება თანდათან გავრცელდა მთელ კანადასა და დანარჩენი მსოფლიოს დიდ ნაწილში.

1970-იან წლებში, ენაში „ჩაძირვის“ პროგრამების განვითარებასთან ერთად, ბილინგვური განათლება ხელმისაწვდომი გახდა მრავალი სხვადასხვა წარმომავლობის ბავშვისათვის. ამის მსგავსად, 1970-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოში Languages Across the Curriculum-ის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა ხელი შეუწყო ინფორირებას იმის შესახებ, რომ ყველა მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მათი ენობრივი უნარების განვითარებაში, პირველი ენა იქნება ეს მათთვის თუ მეორე... ნათელი ხდებოდა, რომ საგნობრივი შინაარსი და ენა უნდა ისწავლებოდეს ერთად. ამავდროულად, ისიც ცხადი ხდებოდა, რომ მეორე ენის სწავლების მხოლოდ სტანდარტული მეთოდი არ იძლეოდა ფართო მასშტაბით ადეკვატურ შედეგებს.

* * *

1990-ანი წლების შუა პერიოდში გლობალიზაცია უფრო და უფრო მაღალ ლინგვისტურ მოთხოვნებს უყენებდა მეინსტრიმულ განათლებას, საწყისი დონიდან უმაღლესი განათლების ინსტიტუციების ჩათვლით. დღესდღეობით ევროპაში დიდია იმის სურვილი, რომ გააუმჯობესონ ენის სწავლების საშუალებები ახალგაზრდებისათვის, რათა გაიზარდოს ევროპის ერთობა და კონკურენტ-უნარიანობა. აზიაში ჩინეთის ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდის შედეგად, იზრდება ისეთი lingua franca ენების გაუმჯობესების ინტერესი, როგორებიცაა მანდარინი და ინგლისური. ამ ენებს აქვთ არსებითი მნიშვნელობა რამდენიმე აზიური ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო დღესდღეობით აქამდე არნახული გზებითაა ურთიერთდაკავშირებული. ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინფორმაციისა და ცოდნის მიმოცვლას. ეს, თავის მხრივ, ეხმარება მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციასა და ცვლილებებს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მსოფლიო სწრაფად ხდება შერეული გლობალური სოფელი. მობილობა, ფიზიკური იქნება იგი თუ ვირტუალური, მუდმივად ზრდად რეალობად იქცევა, რაც გავლენას ახდენს ენებზე. გლობალურ საზოგადოებაში ცხოვრების რეალობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას და როგორ ვასწავლით. ეს ეხება როგორც ენობრივ განათლებას, ისე სხვა ნებისმიერი საგნის სწავლებას.

ინტეგრირებულ მსოფლიოში ინტეგრირებულ სწავლებას უფრო და უფრო ხშირად უყურებენ, როგორც განათლების გადაცემის თანამედროვე მეთოდს, შექმნილს იმ მიზნით, რომ უკეთ გადასცენ შემსწავლელს გლობალური ეპოქისთვის შესაფერისი ცოდნა და უნარები. უფრო მეტიც, თაობა Y (1982-დან 2001 წლამდე დაბადებულები) ორიენტირებულია სწავლის დაუყოვნებელ შედეგზე: „ისწავლე გამოყენებისას, გამოიყენე სწავლისას“ და არა „ისწავლე ახლა, გამოიყენე მოგვიანებით“. კიბერეპოქაში დაბადებულებზე (2001 წლის მერე) კი მათი პირადი, ახალგაზრდობაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება, ინტეგრირებული ტექნოლოგიებთან, კიდევ უფრო დიდ გავლენას მოახდენს. სწორედ ეს თაობაა ამჟამად მთელი მსოფლიოს საკლასო

ოთახებში, ხოლო CLIL არის ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდოლოგია, რომელიც ამ ახალი ეპოქის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა.

*პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი,
რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015. გვ. 7-30.*

*ბილინგვური განათლება - სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის - ლატვიის ლატვიური ენის სააგენტოს
გამოცემა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრის ქართული გამოცემა, 2009, გვ. 19-20; 79-82.*

*ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), კოლინ ბეიკერის ავტორობით,
სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010;
თავი 11.*